



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N2

ქ. მარნეული

25.01.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, გიორგი შუკაკიძე, ქამილ ალიევი, ლერი მუმლაძე, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, ნიკოლოზ გოგოჭური, რაფიკ მუსაევი.

არ ესწრებოდა: - რამიზ გულმამედოვი.

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ
3. ა.ა.ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ
4. ა.ა.ი.პ. „კულტურის ცენტრი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ
5. შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ
6. შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბ „ალგეთი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

7. ა.ა.ი.პ. „სპორტული სკოლა“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის N12 დადგენილების გაუქმების შესახებ

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს გააცნო „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რაც დაკავშირებულია 2015 წლის ბიუჯეტის ნაშთის დამატებასა და 2015 წლის საბიუჯეტო ვალდებულებების განსაზღვრასთან, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 21 იანვრის N03/283 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე გააცნო ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 20 იანვრის N03/249 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე გააცნო ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2016 წლის ხარჯთაღრიცხვა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 21 იანვრის N03/284 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე გააცნო ა.ა.ი.პ. მარნეულის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება „კულტურის ცენტრი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 21 იანვრის N03/283 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე გააცნო შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 22 იანვრის N03/322 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე გააცნო შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „ალგეთი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 22 იანვრის N03/321 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე გააცნო ა.ა.ი.პ. „მარნეულის სპორტული სკოლა“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 25 იანვრის N03/399 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის და 156-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე და 61-ე მუხლების

საფუძველზე გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კორექტირებული სამტატო ნუსხა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2015 წლის 30 დეკემბრის N76876 წერილით წარმოდგენილი სამართლებრივი დასკვნის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის N12 დადგენილების გაუქმების შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2016 წლის მეორე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი